პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 241 (5531)

4 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1975 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ყინულის მოედნებზე

სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გულმოდგინედ ემზადება გაზეთ „იზვესტიის" ტრადიციული ტურნირისთვის. საბჭოთა ნაკრებში მიწვეული არიან შემდეგი ჰოკეისტები: მეკარეები — ტრეტიაკი, ზინგერი, სიდელნიკოვი; მცველები — ლუტჩენკო, გუსევი, ციგანკოვი, ვასილიევი, ლიაპკინი, კოროტკოვი, ფიოდოროვი, ბაბინოვი, კუზნეცოვი; თავდამსხმელები — მიხაილოვი, პეტროვი, ხარლამოვი, ჟლუქტოვი, შალიმოვი, შადრინი, იაკუშევი, ა. გოლიკოვი, ბალდერისი, ლებედევი, ანისინი, ბოდუნოვი, მალცევი.

როგორც ხედავთ, ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ ნაკრებში კვლავ ვიხილეთ ვეტერანი ზინგერი, რომელიც წლეულს ისევ მაღალი კლასით გამოირჩევა და ერთობ სტაბილურად თამაშობს.

• • •

ჰოკეისტთა ახალგაზრდული გუნდების III მსოფლიო ჩემპიონატი 26 დეკემბრიდან 1 იანვრამდე ჩატარდება ფინეთის ქალაქებში ტურკუში, ტამპერეში, პორისა და რაუმაში. ტურნირში გამოვლენ სსრ კავშირის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და ფინეთის კოლექტივები. ამერიკელებმა, რომლებიც წინა ორ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, ორგანიზატორებს შეატყობინეს, რომ ამჯერად გუნდს ვერ გამოგზავნიან.

მატჩების განრიგი ასეთია: 26 დეკემბერი. ფინეთი — კანადა; 27. სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია; 28. კანადა — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — ფინეთი; 29. სსრ კავშირი — შვეცია; 30. სსრ კავშირი — ფინეთი, ჩეხოსლოვაკია — კანადა; 31. ჩეხოსლოვაკია — შვეცია; 1 იანვარი. შვეცია — ფინეთი, სსრ კავშირი — კანადა.

(საქდესი).

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 3 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 47-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო" — 6, 27, 36, 40, 41, 45;

„სპორტლოტო-2" — 20, 21, 26, 27, 35, 47.

პირველ დღეს

სურათზე: სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი. ბურთით — ს. კრავცოვი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. დილით მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები მიიღო თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლომჯანიძემ. საღამოს კი ტურნირი გაიხსნა. შეჯიბრება გახსნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილემ ზ. ბერიძემ. მან მიულოცა მონაწილეებს ტურნირის დაწყება, უსურვა წარმატებები. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს მონაწილეებს.

საქართველოს ნაკრები პირველ დღეს პოლონეთის ძლიერ გუნდს ხვდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ პოლონელები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის მონაწილენი არიან. ჩვენმა გუნდმა სუსტად ითამაშა, არ იგრძნობოდა მონდომება, ხოლო, როცა სტუმრები 4-5 ბურთით დაწინაურდნენ, მან სრულიად შეწყვიტა წინააღმდეგობა. პოლონელების დაცვას ჩვენი თავდამსხმელები მაინცდამაინც არ აწუხებდნენ. ერთი, ვისი გამოყოფაც ასე თუ ისე შეიძლება, ა. ანპილოგოვი იყო. არ ვარგოდა დაცვის ხაზი. სცოდავდნენ მეკარეებიც. მეორე ტაიმში გამოფხიზლდა ა. კომახიძე, მაგრამ ამან საქმეს ვეღარ უშველა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტურნირში პირველად მიიღეს მონაწილეობა ი. ნარიმანიძემ და ი. კალანდაძემ.

ც. ფცქიალაძე.

ტექნიკური შედეგები

საქართველო — პოლონეთი 18:28 (8:13)

სსრ კავშირი — იუგოსლავია 20:13 (7:6)

სსრ კავშირი (ახალგ.) — რუმინეთი 22:24 (11:12).

• • •

სურათზე: საქართველოს და პოლონეთის გუნდების შეხვედრის მომენტი. შეტევაზეა ზ. ბუნაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მსოფლიო ჩემპიონატმა სტარტი აიღო

გუშინწინ საბჭოთა კავშირის სამ ქალაქში დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებები.

დონის როსტოვის ჯგუფში იუგოსლავიის ნაკრებმა ანგარიშით 16:9 (7:5) სძლია დანიელთა ეროვნულ გუნდს.

ვილნიუსის ჯგუფის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა იოლად მოიპოვეს გამარჯვება — 21:13 (10:3).

კიევში დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოლექტივთა შეხვედრამ. თამაში მართლაც უაღრესად მწვავე გამოდგა, რასაც მისი ანგარიშიც ადასტურებს — 10:10 (6:6).

წინასწარ ჯგუფებში I და II ადგილებზე გასული გუნდები შეადგენენ მთავარ ფინალს, სადაც ჩემპიონატის მედლების გარდა მონრეალის ოლიმპიური ტურნირის ოთხი საგზურის ბედიც გადაწყდება.

სარბიელზეა 30 ნორჩი მოჭადრაკე

ბათუმში მიმდინარეობს საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა პირველობები. ამ ტურნირებიდან ერთი გოგონა და ორი ჭაბუკი მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც გაისად იანვარში ჩატარდება. გარდა ამისა, პირველობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი.

გოგონათა ტურნირში 14 მონაწილეა. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. ჩხაიძე — 5,5 ქულა, ნ. მელაშვილი (ორივე — თბილისი), ხ. გურგენიძე (რუსთავი) და თ. მესხი (ქუთაისი) — 5-5.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელს ერთმანეთს 16 მოჭადრაკე ეცილება. აქ 6 ტურის შემდეგ წინ არიან ზ. აზმაიფარაშვილი, თ. ბილიხოძე (ორივე — თბილისი) და პ. მაღლაკელიძე (ქუთაისი) — 4,5-4,5.

ს. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

ორი ლიდერი

ახალგაზრდა ბ. გულკომ მოუგო გამოჩენილ დიდოსტატ ე. გელერს, რაც სსრ კავშირის 43-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის III ტურის სენსაცია აღმოჩნდა. მეორე მარცხი იწვნია ი. კლოვანმა დ. ბრონშტეინთან შეხვედრაში.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ი. ბალაშოვი — რ. ვაგანიანი, ლ. პოლუგაევსკი — ი. დორფმანი და ლ. ალბურტი — ს. ფურმანი.

სამი პარტია გადაიდო. ბრონშტეინი და გელერი დაზავდნენ II ტურში დაუმთავრებელ პარტიაში.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ პოლუგაევსკი და ბრონშტეინი — 2-2 ქულა.

„ბურევესტნიკი" ნახევარფინალში გავიდა

მოსკოვში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი — სსრ კავშირის „ბურევესტნიკმა" დანიის ეროვნული კლუბის „რისკოვის" ნაკრებს უმასპინძლა. ანგარიშით 8:4 გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა", რომელიც ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ოსტატები ი. რაზუვაევი, ვ. ბაგიროვი, თ. გიორგაძე, ს. მაკარიჩევი, ს. პალატნიკი, ა. პანჩენკო და მიწერ-მოწერით თამაშში მსოფლიო ჩემპიონი ი. ესტრინი.

მატჩის შედეგი გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოირკვა, როცა საბჭოთა მოჭადრაკეებმა ხუთი შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ერთი წააგეს. ექვსი ორთაბრძოლა ზავით დასრულდა.

საბჭოთა გუნდში საუკეთესონი იყვნენ რაზუვაევი, რომელმაც პირველ დაფაზე ორივე შეხვედრა მოუგო დანიელთა ლიდერს ბ. იაკობსენს, და პალატნიკი, რომელმაც ვ. ენსენსა და ე. მორტენსენს სძლია.

ერთადერთი მოგება დანიელთა გუნდს მოუტანა ტ. ჰანსენმა, რომელმაც შესანიშნავი ტექნიკა გამოავლინა. საერთაშორისო ოსტატ ბაგიროვთან ორ მწვავე პარტიაში მან ქულა-ნახევარი მოაგროვა.

ახლა საბჭოთა მოჭადრაკეებს მოუწევთ ნახევარფინალურ შეჯიბრებებში თამაში, რომლებიც გაისად 28 თებერვლამდე უნდა დამთავრდეს. თასისთვის ბრძოლაში ყველაზე სერიოზულ მეტოქეებად იუგოსლავიის, უნგრეთისა და გფრ-ის საკლუბო გუნდებს ასახელებენ. 15 მაისს კი ფიდე გამოაცხადებს ამ პირველად დაწესებული თასის მფლობელს.

გათამაშებაში ევროპის 20 გუნდი ჩაება.

საბჭოთა მოკრივეთა წარმატება

მონრეალი, 2 დეკემბერი. (საქდესის კორ.). აქ გამართული წინაოლიმპიური ტურნირის მონაწილე ხუთივე საბჭოთა მოკრივემ საპრიზო ადგილი დაიკავა. ფინალურ ბრძოლებში ყველაზე „სწრაფი" გამარჯვება მოიპოვა ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა საშუალო წონაში, დნეპროპეტროვსკელმა ვ. სავჩენკომ, რომელმაც კუბელი ლ. მარტინესი ნოკაუტში ჩააგდო მეორე რაუნდში. თუმცა ქულებით, მაგრამ დამაჯერებლად მოუგო კონტინენტის პირველმა ხელთათმანმა პირველ ქვესაშუალო წონაში, უფელმა ვ. ლიმასოვმა იაპონელ ა. კამედას. ხუთივე მსაჯმა უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენს მიანიჭა.

II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქ წონაში, პერმელი ვ. სოლომინი, რომელმაც კუბელ მ. ლასოსთან წააგო.

III ადგილები დაიკავეს ევროპის პირველობაში პირველ უმჩატეს წონაში გამარჯვებულმა დონეცკელმა ა. ტკაჩენკომ, რომელმაც ნახევარფინალში წააგო კუბელ ე. რამირესთან და მოსკოველმა მძიმეწონოსანმა ვ. ტერეშჩენკომ, რომელსაც მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა მ. სტინსონმა (აშშ).

დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ: უნგრელები — ოლიმპიური ჩემპიონი დ. გედო (პირველი უმჩატესი) და ტ. ბადარი (ქვემსუბუქი), იაპონელები ფ. ნაგაი (მეორე უმჩატესი) და უ. სეკი (მეორე ქვესაშუალო), ამერიკელი დ. ჰოლმსი (მჩატე), უგანდელი მ. ვასაჯა (მეორე საშუალო) და ფრანგი ხ. ტაფერი (ქვემძიმე).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 16 ქვეყნის წარმომადგენლები. სპეციალისტებმა აღნიშნეს სსრ კავშირის, უნგრეთის, იაპონიისა და აშშ-ს რინგის ოსტატთა კარგი მომზადება. სამახსოვრო ჯილდოების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლებს ხვდათ.

● **მოსკოვი, 2 დეკემბერი.** ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ტურნეს ჩასატარებლად 5 დეკემბერს ოკეანის გაღმა მიემგზავრებიან მოწინავე საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ლ. ტურიშჩევა, ო. კორბუტი, ნ. კიმი, ს. გროზდოვა, რ. ზიჩუკინა, ნ. ანდრიანოვი, ვ. კლიმენკო, ვ. მარჩენკო, ა. საფრონოვი, პ. შამუგია. საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, აკრობატები ვ. ალიმანოვი და ვ. ნაზაროვი, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები ნ. კრაშენინიკოვა და ჟ. ვასიურა. ტურნე 19 დეკემბრამდე გასტანს.

● **ტალინი, 2 დეკემბერი.** აქ დამთავრდა პროფკავშირების კალათბურთელ ვაჟთა ექვსი უძლიერესი გუნდის საკავშირო შეჯიბრება. I ადგილი დაიკავა კაუნასის „ჟალგირისმა". II ადგილზეა ვილნიუსის „სტატიბა", III — მინსკის რტი, IV — კიევის „სტროიტელი", V — ტარტუს „კალევი". ბოლო ადგილზე დარჩა ლენინგრადის „სპარტაკი", რომელმაც ხუთივე მატჩი წააგო. ცხადია, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ლენინგრადელებს აკლდნენ ვ. არზამასკოვი, მ. სილანტიევი, ა. ბელოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პამირი, 1975

შორეულ სამთო რაიონში გასამგზავრებლად ალპინისტური ექსპედიციის მომზადებისას არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ამ დროს ყველაფერი მთავარია. ამიტომაა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ დეტალს, ბევრ წვრილმანს — ალპინისტურ საჭურველს ეხება ეს, თუ საკვებით ექსპედიციის მომარაგებას, ექსპედიციის შემადგენლობის შერჩევას, თუ მწვერვალის იერიშის ტაქტიკურ გეგმას.

ძნელია ყველა ამ დეტალის გათვალისწინება და კიდევ უფრო ძნელია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომლებიც შორეული ექსპედიციის მომზადებასთანაა დაკავშირებული. ძნელია, მაგრამ აუცილებელი, ვინაიდან თითოეული, ერთი შეხედვით ყოვლად უმნიშვნელო წვრილმანიც კი, გარკვეულ მომენტში, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად იქცეს, რომელზეც მთელი ექსპედიციის ბედ-იღბალი იქნება დამოკიდებული.

ამიტომაც იყო, რომ წლევანდელი სიმაღლოვანი ექსპედიციის მომზადება, ისევე როგორც წარსულ წლებში, დიდი დროის, ენერგიისა და მღელვარების ფასად დაჯდა.

ბოლოს და ბოლოს, ექსპედიციის სამზადისი დამთავრდა. 18 ივლისს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას ჩვენი ექსპედიციის ჩატარების შესახებ. 19 ივლისს ექსპედიცია თბილისიდან დუშამბეში ჩაფრინდა.

დუშამბეში დაგვხვდნენ ექსპედიციის უფროსის მოადგილე საორგანიზაციო დარგში თამაზ ვაშაძე და მოიერიშე ჯგუფის უფროსი მიტო დანგაძე, რომლებიც რამდენიმე დღით ჩვენზე ადრე გაემგზავრნენ შუა აზიაში, რათა შვეულმფრენებით ექსპედიციის უზრუნველყოფის საკითხი მოეგვარებინათ.

ბოლო წლებში შვეულმფრენები სიმაღლოვანი ექსპედიციების აუცილებელ ტრანსპორტად იქცა. წინათ პამირისა თუ ტიან-შანის მწვერვალების მისადგომებზე შეღწევა და უკან დაბრუნება ცხენების, სახედრების ან აქლემების ქარავნებით ხდებოდა, რაზეც თითქმის იმდენივე დრო და ენერგია იხარჯებოდა, რამდენიც უშუალოდ მწვერვალების დალაშქვრაზე. მაგალითად, 1956 წელს, მოსკოვის პიკის პირველდამპყრობმა ქართულმა ექსპედიციამ მანძილს ჯირგატალიდან (ტაჯიკეთის ერთ-ერთი განაპირა ყიშლაყიდან, რომელიც მდინარე სურხობის ნაპირას მდებარეობს) სალრანის ყინვარამდე, სადაც ექსპედიციის საბაზო ბანაკი მოეწყო, ქარავნით 12 დღე მოანდომა, ჩვენ კი წლეულს იგივე მანძილი შვეულმფრენით ერთ საათში დავფარეთ. მართალია, ქარავანს ჰქონდა თავისი განუმეორებელი მომხიბლაობა, მაგრამ, როგორც სატრანსპორტო საშუალება — სისწრაფის თვალსაზრისით — აქლემი ან სახედარი, ცხადია, ძნელია, შვეულმფრენს შეადარო.

ერთადერთი, მაგრამ ძალზე საგრძნობი ნაკლი, რომელიც შვეულმფრენებით ალპინისტური ექსპედიციების მომსახურებასთან არის დაკავშირებული, ისაა, რომ შვეულმფრენები ჯერჯერობით ვერ აუდიან მრავალრიცხოვანი ექსპედიციების მომსახურებას — გეოლოგებისას თუ გლაციოლოგებისას, ტურისტებისას თუ ალპინისტებისას — და ამიტომ ხშირად თავისუფალი შვეულმფრენის გამოძებნა გადაუჭრელ პრობლემად იქცევა.

არ ვიცი, რა გზებით, მაგრამ ეს პრობლემა წლეულს ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილემ საორგანიზაციო დარგში თამაზ ვაშაძემ ისე მოაგვარა, რომ მთელი ექსპედიციის მანძილზე შვეულმფრენების გამო არც ერთი საათით არ გვქონია შეფერხება, მაშინ, როცა იმავე რაიონში მოქმედ სხვა ალპინისტურ ექსპედიციებს მათს ლოდინში დღეები უცდებოდათ. უთუოდ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ, მიუხედავად თბილისიდან საკმაოდ დიდი დაგვიანებით გამგზავრებისა, შესაძლებელი გახდა ექსპედიციისთვის განკუთვნილი დრო მაქსიმალურად გამოგვეყენებინა და მოსკოვის პიკის იერიშის დაწყებამდე, საშუალედო და საიერიშო ბანაკების მოწყობისა და 5000-მეტრიან ზეგარზე სავარჯიშო ასვლის შემდეგ, სალრანის ყინვარის სათავესთან მდებარე რამდენიმე საკმაოდ რთულ ექვსიათასმეტრიან მწვერვალზე ავსულიყავით.

პირველი ასვლები მოიერიშე და დამხმარე ჯგუფების წევრებმა ერთად მოვახდინეთ. ხაზარაძის მეთაურობით მთამსვლელებმა გაბისიანმა, ახალკაცმა, ბაიდაურმა და გურგენიძემ ახალი გზით დაიპყრეს 6435 მეტრი სიმაღლის მწვერვალი „საბჭოთა სახელმწიფოს 30 წელი“, ხოლო სამნი — მირიანაშვილი, დანგაძე, აბაშიძე — ავედით 6047 მეტრი სიმაღლის მანამდე დაუპყრობ მწვერვალზე, რომელსაც პირველამსვლელთა უფლებით დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ვუწოდეთ.

შემდგომში დამხმარე ჯგუფის წევრებმა კიდევ ერთი აუღებელი მწვერვალი დალაშქრეს, რომელსაც „დუშამბე“ დაარქვეს (სიმაღლე 5848 მ), მოიერიშე ჯგუფმა კი (დანგაძე, მირიანაშვილი, ხაზარაძე, გაბისიანი, ბარლიანი, აბაშიძე) დაიპყრო 6100-მეტრიანი მწვერვალი, რომელიც უშუალოდ მოსკოვის პიკის სამხრეთი თხემის დასაწყისში მდებარეობს. ამ მწვერვალს საბჭოთა კოსმონავტებისა და ამერიკელ ასტრონავტთა პირველი ერთობლივი ფრენის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულებასთან დაკავშირებით „სოიუზ“ — „აპოლონი“ ეწოდა. ორივე მარშრუტი უმაღლესი — მე-5 კატეგორიის სიძნელისა იყო.

ამ ასვლებმა, გარდა მათი თავისთავადი სპორტული მნიშვნელობისა, უდიდესი როლი შეასრულა გუნდის ვარჯიშისა და აკლიმატიზაციისთვის, და, ამდენად, გადამწყვეტი გავლენა იქონია ექსპედიციის მთავარი ამოცანის — მოსკოვის პიკზე საკონკურსო ასვლის წარმატებით დაგვირგვინებაში.

სიმაღლის ფაქტორი 6000 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალებზე ლაშქრობისას ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს.

სპეციალური სამედიცინო ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ მაქსიმალური სიმაღლე, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი შედარებით უმტკივნეულოდ ეგუება, 5490 მეტრია, თუმცა ამ სიმაღლეზეც, დაბალი ატმოსფერული წნევისა და გაიშვიათებული ჰაერის გამო (უფრო სწორად, ჟანგბადის პარციალური წნევის სიმცირის გამო), ადამიანის შრომისუნარიანობა მეტნაკლებად შეფერხებულია. მაგალითად, უკვე 4000 მეტრიდან ადამიანის ხელის კუნთების ძალა ერთი მესამედით იკლებს, ხოლო ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ერთი ორად მცირდება. რაც უფრო დიდია სიმაღლე ზღვის დონიდან, მით ნაკლებია ჟანგბადი და დაბალია ატმოსფერული წნევა, რაც სათანადო აკლიმატიზაციის უქონლობის შემთხვევაში ეგრეთ წოდებულ „მთის ავადმყოფობას“ იწვევს. მთის ავადმყოფობა თავის ტკივილითა და თავბრუს ხვევით, მადის დაკარგვითა და მოთენთილობით იწყება და, თუკი ავადმყოფი დაუყოვნებლივ არ ჩავიყვანეთ დაბლა, მოთენთილობა თანდათან სრულ აპათიაში გადაიზრდება, რასაც გონების დაკარგვა და ბოლოს სიკვდილი მოსდევს.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 238, 239, 240.

სურათზე: მწვერვალი დუშამბე (5848 მ).

„ლელო“ ინტერვიუ

ცხადია, რაც უფრო ძლიერია ადამიანი ფიზიკურად, რაც უკეთ არის სპორტსმენი ნავარჯიშევი, მით უფრო სწრაფად და კარგად ეგუება იგი სიმაღლეს, მაგრამ უაკლიმატიზაციოდ, სიმაღლის თანდათანობითი შეგუების გარეშე, ვერავინ გაუძლებს იმ დატვირთვას, რომელიც დიდ სიმაღლეზე (6000-7000 მ) ხანგრძლივად ყოფნასთან არის დაკავშირებული, რაც უნდა ჯანმრთელი და რამდენად ძლიერიც უნდა იყოს ადამიანი ფიზიკურად.

ალპინისტი დიდ სიმაღლეზე ძილში მბოდავ ავადმყოფს ჰგავსო, — წერდა გამოჩენილი ინგლისელი მთამსვლელი, ევერესტის ერთ-ერთი პირველი მოლაშქრე ერიკ შიპტონი. ეს, პირველ ყოვლისა, არასაკმარისად აკლიმატიზებულ მთამსვლელებს ეხებათ.

აკლიმატიზაციის უქონლობა ხშირად გამხდარა მაღალ მწვერვალებზე ლაშქრობის ტრაგიკული დასასრულის ძირითადი მიზეზი. მე კარგად მახსოვს 1959 წლის ზაფხული ტიან-შანის მთებში, როცა უზბეკეთის მთამსვლელთა ექსპედიციამ, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. რაცეკი ხელმძღვანელობდა, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მიზეზით განიცადა მარცხი გამარჯვების პიკის შტურმის დროს. ტიან-შანის ამ უდიდესი მწვერვალის დაპყრობა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 7434 მეტრს აღწევს, მთამსვლელებმა წინასწარი სააკლიმატიზაციო ასვლების გარეშე სცადეს და უთუოდ მათი დიდი ფიზიკური ძალისა და გამძლეობის დამადასტურებელია, რომ შეძლეს 7200 მეტრამდე მიეღწიათ. მაგრამ ამ სიმაღლეზე მათ უკვე საბოლოოდ გამოეცალათ ძალ-ღონე და არათუ გზის გაგრძელება, არამედ დაბლა დაშვებაც კი გადაულახავ ამოცანად ექცათ. ცენტრალური ტიან-შანის რაიონში მყოფი ალპინისტური ექსპედიციები და მათ შორის ჩვენი გუნდებიც, რომლებიც იმჟამად გამარჯვების პიკის ახალი გზით დასალაშქრავად ემზადებოდნენ, უზბეკეთის მთამსვლელების მისაშველებლად გავეშურეთ, მაგრამ ყველას გადარჩენა მაინც ვერ მოხერხდა. ათი მოიერიშედან სამი 7200 მეტრზევე გარდაიცვალა, ხოლო ერთი — მას შემდეგ, რაც უკვე ბარში, სამშვიდობოზე ჩამოვიყვანეთ.

რა თქმა უნდა, გადაჭარბება იქნება, თუ ვიტყვი, რომ მოსკოვის პიკზე ასვლის დროს სიმაღლის ფაქტორი ჩვენთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. დიდი სიმაღლე (განსაკუთრებით 6500 მეტრის შემდეგ), რაგინდ კარგად უნდა იყოს სპორტსმენი აკლიმატიზებული, ობიექტურად მაინც ახდენს გარკვეულ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე: ასუსტებს კუნთების ძალას, ადუნებს რეაქციებს, აფერხებს მოძრაობის კოორდინაციას და ტემპს. მაგრამ უდავოა, რომ პირველ ყოვლისა სწორედ კარგი აკლიმატიზაციის წყალობით შეძლო ჩვენმა გუნდმა სიმაღლის უარყოფითი ზემოქმედების შედარებით იოლად გადატანაც და დიდ სიმაღლეზე ტექნიკურად რთული მარშრუტის დაძლევაც...

დამთავრდა სავარჯიშო და სააკლიმატიზაციო პერიოდიც. განზრახული გვქონდა მოსკოვის პიკის იერიშზე 15 აგვისტოს გავსულიყავით, მაგრამ ძლიერმა ქარბუქმა რამდენიმე დღით საიერიშო ბანაკში დაგვაყოვნა.

პამირისთვის უჩვეულოდ ავდრიანი ზაფხული იყო წლეულს. ივლისს კიდევ არა უშავდა, აგვისტოში კი, განსაკუთრებით თვის მეორე ნახევრიდან, სულ ორიოდე დღე თუ იყო უღრუბლო. თოვას ძლიერი ქარბუქიც დაერთო და ტემპერატურაც მკვეთრად დაეცა. ყინვა ღამ-ღამობით ხშირად 35-40 გრადუსს აღწევდა.

18 აგვისტოს ქარბუქი ჩაცხრა და მწვერვალის შტურმიც დაიწყო, 12 დღის შემდეგ კი ჩვენი გუნდი გამარჯვებული დაბრუნდა ბანაკში: მოსკოვის პიკის ურთულესი სამხრეთი თხემი დაძლეული იყო.

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია იმ დღეების შესახებ მოგითხროთ ისე, რომ მკითხველიც ჩვენი ლაშქრობის თანაზიარი გავხადო. მხოლოდ იმის თქმა კი, რომ ამ თორმეტი დღე-ღამის თითოეული წუთი საშიშროებით იყო აღსავსე, რომ სავალი გზის თითოეული მეტრის დაძლევა ჩვენი გუნდის ყოველი წევრისგან ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა, და, რომ ხშირად არათუ მწვერვალზე ასვლა-არასვლის საკითხი, არამედ თვით ჩვენი ყოფნა-არყოფნაც ბეწვზე ეკიდა, ფაქტიურად არაფრის თქმას ნიშნავს და, ცხადია, არავითარ ემოციებს არ აღძრავს მკითხველში.

მე, ბუნებრივია, ხშირად წამიკითხავს ამა თუ იმ ალპინისტური ექსპედიციების ანგარიშები და ყოველთვის გული დამწყვეტია, რომ ასვლის აღწერილობანი მუდამ საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ იმაშია ხოლმე, რომ ერთმა გუნდმა მწვერვალზე ასვლისას, თურმე, 200 კლდის და 100 ყინულის პალო ჩაასო, მეორე გუნდმა კი, ვთქვათ, 200 ყინულის და 100 კი კლდისა (სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვიტყვი, რომ მოსკოვის პიკის შტურმისას ჩვენ 184 კლდის და 72 ყინულის პალო გამოვიყენეთ); ერთმა გუნდმა მარშრუტი 50 საათში დაძლია, მეორემ კი — 150-ში (ჩვენ — 97 საათში); რომ ერთი დაძლეული მარშრუტის საშუალო დახრა, ვთქვათ, 60 გრადუსი იყო, მეორისა კი 70 გრადუსი (ჩვენი მარშრუტისა — 60-65 გრადუსი). ასეთი სტატისტიკის წაკითხვა და აღქმა მთამსვლელისთვისაც კი ძნელია და არამთამსვლელისთვის ხომ — მით უმეტეს. მხატვრულობის პრეტენზიით დაწერილი აღწერილობანი კი, ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის, კიდევ უფრო ძნელი წასაკითხია ხოლმე...

მწვერვალებთან ჭიდილში განცდილის გადმოსაცემად მწერლის ნიჭია საჭირო, მე კი, სამწუხაროდ, მწერალი არა ვარ. ამიტომ სიტყვაზე უნდა მენდოთ, რომ მოსკოვის პიკის შტურმის დღეები დაუვიწყარი დღეები იყო. და თუნდაც მანამდე არც ერთ მწვერვალზე არ ავსულიყავი და მომავალშიც აღარ მექნეს მწვერვალების დაპყრობის ბედნიერება (თუმცა, ეს, ცხადია, ღმერთმა ნუ ქნას) ამ საოცარი თორმეტი დღე-ღამის უმძაფრესი შთაბეჭდილებები, ალბათ, მთელ ცხოვრებას მეყოფა.

(დასასრული იქნება)

სურათზე: მოსკოვის პიკის ქედზე.

● ●

პასუხს სამმართველოსგან ელიან

ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ ფიზკულტურელთა სახლის დარბაზში საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით სამბოსა და კლასიკურ ჭიდაობაში გამართულ ტურნირებს ვესწრებოდით. საჭიდაო სარბიელს თითქოს წუნს ვერ დადებდი — მოასპარეზეთა განკარგულებაში იყო თანამედროვე ტიპის ორი საჭიდაო ხალიჩა, ექიმის კაბინეტი, დარბაზი საზეიმოდ მოერთოთ, ინფორმაციაც სათანადო დონეზე იდგა. ერთი შეხედვით დარბაზში ყველაფერი მოწესრიგებული ჩანდა, მაგრამ ცნობილია, რომ მონაწილე, ვიდრე ხალიჩაზე საასპარეზოდ გავიდოდეს, საბრძოლველად გასახდელში უნდა მოემზადოს — სპორტული ტანსაცმელი ჩაიცვას, ჭიდაობის შემდეგ კი საშხაპეს უნდა ესტუმროს. სამწუხაროდ, ფიზკულტურელთა სახლში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ იყო.

ჩვენ ფიზკულტურელთა სახლის დირექტორს ს. გურჯიევს ვეწვიეთ.

— ჩვენთან რამდენიმე სახეობის სექციები მუშაობენ, ფაქტიურად ესაა თბილისის რკინიგზელ სპორტსმენთა აღზრდის მთავარი კერა. ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს და გზის სამმართველოს ზრუნვით სამოქალაქო ნაგებობათა მე-4 დისტანციამ ამ ზაფხულში ფიზკულტურელთა სახლის რემონტი დაიწყო და ოქტომბერში საქმე დამთავრებულად ჩათვალა. მაგრამ, სამწუხაროდ, რემონტი უხარისხოდ გაკეთდა: სანიტარული კვანძის მოწყობა არ დაამთავრეს, დაუხურავი დატოვეს, საშხაპე შეაკეთეს, მაგრამ ვენტილაციის მოწყობა დაავიწყდათ, — გვითხრა გურჯიევმა და განაგრძო:

— მაგრამ ჩვენ სხვა საკითხიც გვაწუხებს. საქმე ისაა, რომ რკინიგზელ ფიზკულტურელთა სახლის მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებლობა, მისი შტატების დაკომპლექტება სამოქალაქო ნაგებობათა მე-4 დისტანციას აკისრია. ფიზკულტურელთა სახლს შტატით 11 თანამშრომელი უნდა ჰყავდეს, სინამდვილეში კი 9 ჰყავს. დისტანციის ხელმძღვანელობა დანარჩენი ორი თანამშრომლის შტატს რაში იყენებს, ჩვენთვის გაუგებარია, არადა მეგარდეროზე და ერთი მუშა აუცილებლად გვჭირდება.

ს. გურჯიევმა ისიც გვითხრა, როცა ამ შტატების თაობაზე მე-4 დისტანციის უფროსს რ. კოპლატაძეს რამდენიმეჯერ მივმართეთ, უარით გამოგვისტუმრა, სახსრები არ გვაქვსო.

საუბარში ზაჰესის მიდამოებში არსებული „ლოკომოტივის“ სანიჩბოსნო სადგურის დირექტორი ა. დოლიძე შემოგვიერთდა.

— „ლოკომოტივმა“ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, როცა ამ მიდამოებში, მტკვარზე სანიჩბოსნო სადგურის მოწყობა გადაწყვიტა, — თქვა მან. — რკინიგზელ სპორტსმენებს სანიჩბოსნო სლალომში კარგი ტრადიციები აქვთ და ეს ნაბიჯიც ამ ტრადიციის განმტკიცების სურვილით იყო ნაკარნახევი. ერთი სიტყვით, შარშან აიგო ელინგი და დამხმარე, ოროთახიანი კაპიტალური შენობა, რაც მერე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს განკარგულებით, ბაზის შემდგომი გაფართოებისა და კეთილმოწყობის მიზნით, სამოქალაქო ნაგებობათა მე-4 დისტანციას გადაეცა.

კოპლატაძეს ისიც დროულად აცნობეს, რომ 1975 წლის ზაფხულში ამ ბაზაზე სანიჩბოსნო სლალომში საუწყებო საკავშირო თასის გათამაშება ჩატარდებოდა. კარგი მასპინძლობა მარტო მე-4 დისტანციის კი არა, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს და მთელი ჩვენი რესპუბლიკის ღირსების საქმე გახლდათ, გასაკეთებელი კი ძალიან ბევრი იყო: გასახდელები, საშხაპეები, გათბობა, ბაზაში სასმელი წყლის მიყვანა, ტრასის მოწყობა...

თასის გათამაშებამ კარგად ჩაიარა, მაგრამ ამაში მე-4 დისტანციის დამსახურება ძალიან ცოტა იყო. არც გასახდელები, არც საშხაპეები არ აუგიათ, მხოლოდ სასმელი წყლის დროებითი მაგისტრალი გაკეთდა, დროებითი ტრასა კი თვითონ სპორტსმენებმა მოაწყვეს.

როგორც ა. დოლიძემ გვითხრა, საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების მონაწილეებს სანიჩბოსნო სლალომის ტრასა ზაჰესთან ძალიან მოწონებიათ. ამიტომ გაისად ამ შეჯიბრების გამართვა აქვე ყოფილა დაგეგმილი. ეს მასპინძლებს გაცილებით მეტს ავალებს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას, პროფკავშირთა საგზაო კომიტეტს, განსაკუთრებით კი სამმართველოს პარტიულ კომიტეტს (პარტკომის მდივანი ნ. გირკელიძე „ლოკომოტივის“ სანიჩბოსნო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარეა) სანიჩბოსნო სადგურის კეთილმოწყობის აუცილებლობა კოპლატაძისთვის ბევრჯერ შეუხსენებიათ, მაგრამ იგი ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებით კმაყოფილდება.

რამდენად სწორია „ლოკომოტივის“ ფიზკულტურელთა სახლის დირექტორის ს. გურჯიევისა და სანიჩბოსნო სადგურის დირექტორის ა. დოლიძის გულისწყრომა, რამდენად მართებულად ექცევა ამ ორგანიზაციებს სამოქალაქო ნაგებობათა მე-4 დისტანცია, ვინ არის დამნაშავე? რკინიგზელი და, საერთოდ, თბილისელი ფიზკულტურელები ამაზე პასუხს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსგან ელიან.

ო. გელაშვილი.

ფეხბურთი '75

დარჩა მხოლოდ ორი საგზური

ჩიმკენტი, 3 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირის მეოთხე „სამუშაო" დღის მატჩების შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ლიდერებისთვის, არამედ ბოლო ადგილზე მყოფი მახაჩყალის „დინამოსთვისაც". ამ უკანასკნელს შეხვედრა ჰქონდა გროზნოს „თერგთან" და გამარჯვების შემთხვევაში იხვეჭდა რსფსრ-ს ჩემპიონის სახელს, რომელსაც შარშან გროზნოელი ფეხბურთელები ფლობდნენ. „თერგმა" ძნელი ამოცანა ჭრიალზე შეასრულა, მატჩი მოიგო (2:0), 2 ქულაც აიღო და კვლავ რუსეთის ჩემპიონი გახდა.

ძლიერი მეტოქე ჰყავდა რიგის „დაუგავას" იანგიერის ამავე სახელწოდების გუნდის სახით. გამარჯვების შემთხვევაში ბალტიისპირელები ერთპიროვნული ლიდერები ხდებოდნენ. თუ პირიქით მოხდებოდა, „იანგიერი" ლიდერთა ჯგუფში იკავებდა ადგილს. 90 წუთის მანძილზე იგრძნობოდა რიგელ ფეხბურთელთა უპირატესობა და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

ლანჩხუთის „გურია" აშხაბადის „სტროიტელს" შეხვდა. სპეციალისტები „სტროიტელს" სამეულში გასვლის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლიდნენ. იგი ხომ შარშან I ლიგაში გამოდიოდა და მხოლოდ ქულა დააკლდა, რომ იქ დარჩენილიყო. გუნდი დაკომპლექტებულია გამოცდილი ფეხბურთელებით, რომლებიც თამაშობენ შემტევ ფეხბურთს. ამიტომ „გურიას" ძალიან გაუჭირდა აშხაბადელებისთვის მეტოქეობის გაწევა და დამარცხდა — 0:3.

ტურნირის მონაწილეებს სათამაშო დარჩათ თითო მატჩი. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი — რიგის „დაუგავა" შეხვდება „სტროიტელს". ეს შეხვედრა აშხაბადელი ფეხბურთელებისთვის უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე მათი მეტოქეებისთვის, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვთ I ლიგაში თამაშის უფლება, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში „სტროიტელს" შეუძლია საგზურის მოხვეჭა.

I ლიგაში გადასვლას გროზნოს „თერგიც" ცდილობს. ამ გუნდს ამჟამად აქვს 6 ქულა, აგრეთვე, გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა. ამ კოლექტივის ბოლო მეტოქე იქნება „იანგიერი", ამ უკანასკნელმა, I ლიგის საგზური რომ მოიპოვოს, მეტოქე 7 ბურთის სხვაობით მაინც უნდა დაამარცხოს.

4 ტურის შემდეგ ტურნირში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა"	4	3	1	0	6—3	7
„თერგი"	4	2	2	0	10—4	6
„სტროიტელი"	4	2	2	0	7—2	6
„იანგიერი"	4	1	2	1	4—4	4
„გურია"	4	0	1	3	3—11	1
„დინამო"	4	0	0	4	1—7	0

ზ. ჯაფარიძე.

ფრე „პარკ დე პრენსის" სტადიონზე

პარიზი, 2 დეკემბერი. დღეს აქ, ცუდი ამინდის მიუხედავად, დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ამხანაგურმა მატჩმა: „პარი სენ-ჟერმენი" — „დინამო" (კიევი). სტადიონის ტრიბუნებზე 25 ათასამდე მაყურებელი იჯდა.

პირველ ტაიმში კიეველ ფეხბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ მათ მხოლოდ 44-ე წუთზე გახსნეს ანგარიში, როცა ლამაზი კომბინაციის შემდეგ კონკოვმა აიღო პარიზელთა კარი.

შესვენების შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ, მაგრამ მათს იერიშებს კარგად იგერიებდა დინამოელთა დაცვა. ამავე დროს, კიეველებს ანგარიშის გაზრდის რამდენიმე საუცხოო შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მაგალითად, ერთ-ერთი იერიშის დროს კოლოტოვი „პარი სენ-ჟერმენის" მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი ოდნავ აიცდინა კარის ზედა ძელს.

მატჩის დამთავრებას 6 წუთი აკლდა, როცა მასპინძელთა გუნდის თავდამსხმელმა დალეზმა თანაფარდობა აღადგინა.

ასე — 1:1 — დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

საქართველოს ჩემპიონი

ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა რესპუბლიკის II ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები. უკონკურსოდ უნდა ესპარეზათ ერევნელებსაც, მაგრამ რატომღაც არ ჩამოვიდნენ.

შარშანდელი ჩემპიონი — ბათუმის გუნდი ძალიან სუსტად გამოვიდა: მან ორივე შეხვედრა წააგო — ქუთაისელებთან — 0:4, თბილისელებთან — 0:8.

ქუთაისისა და თბილისის გუნდების შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს ქუთაისელებმა, რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი — ქუთაისის გუნდი.

წყალბურთელები უწყლოდ არ იზრდებიან

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დახურულ საცურაო აუზში ამას წინათ დამთავრდა წყალბურთელთა რესპუბლიკური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" და „ლოკომოტივის", ქუთაისისა და ბათუმის „განთიადის" გუნდები. უკონკურსოდ გამოდიოდა თბილისის განათლების განყოფილების ახალგაზრდული კოლექტივი, რომლისთვისაც ეს შეჯიბრება კარგი წვრთნა იყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წინ.

ასპარეზობაში არ მონაწილეობდა თბილისის „დინამო", ვინაიდან მისი მოთამაშეები სსრ კავშირის ნაკრებში არიან მიწვეული. გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ (უფროსი მწვრთნელი გ. სანაძე, მწვრთნელი ჯ. წიკლაური) დიდი პროგრამა დაისახა ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად და პირველობის ჩამტარებლებს სთხოვა გუნდი გაეთავისუფლებინათ ამ შეჯიბრებისგან. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩემპიონატი კარგი სკოლა იქნებოდა ნიჭიერი დინამოელი ახალგაზრდობისთვის.

ჩვენი კორესპონდენტი ა. მხეიძე შეხვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ვ. გოგიაშვილს და სთხოვა გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი ასპარეზობის შესახებ.

— უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო ხანს „ლოკომოტივს" და ნაწილობრივ მოსწავლეთა ნაკრებ გუნდსაც სავარჯიშოდ წყალი ფაქტიურად არა აქვთ. მიუხედავად უამრავი დადგენილებისა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზის რეკონსტრუქციის თაობაზე, რაც წლიდან წლამდე გრძელდება, „ბურევესტნიკს" ნორმალური ვარჯიშისთვის საჭირო პირობები დღემდე ვერავინ შეუქმნა. „ბურევესტნიკი" პირველ ყოვლისა სწორედ ამ მიზეზით გამოვიდა უსუსურად, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ამართლებს გუნდის სუსტ მომზადებას.

შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ სოხუმელი წყალბურთელები. წინათ ამ ქალაქს წყალბურთში მდიდარი ტრადიციები ჰქონდა, დღეს კი იქ ფაქტიურად არაფერი კეთდება.

თბილისის „ლოკომოტივი" (მწვრთნელი ბ. მარგიევი) უწინ „ა" კლასის ბინადარი იყო. იგი წლების მანძილზე ივსებოდა „დინამოდან" და „ბურევესტნიკიდან" წასული მოთამაშეებით. ამ ბოლო ხანს გუნდმა ახალგაზრდა წყალბურთელებისკენ აიღო კურსი და შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე ამ პირველობაში გამოჩნდნენ პერსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც სათანადო მუშაობის შემდეგ საიმედო ძალად იქცევიან. საკმარისია ითქვას, რომ „ბურევესტნიკთან" შეხვედრაში რკინიგზელები სამი პერიოდის მანძილზე წინ იყვნენ. მხოლოდ მეოთხე, დასკვნით პერიოდში ბურევესტნიკელთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მათ მოიგეს მატჩი.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ქუთაისის „განთიადის" კოლექტივზე. ქუთაისი მუდამ ცნობილი იყო მაღალი კლასის წყალბურთელებით. საკმარისია დავასახელოთ გ. ჩიქვანაია, ო. მიმინოშვილი, მ. გულედანი... სასიხარულოა, რომ დღევანდელ კოლექტივშიც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებიც სათანადო პირობების შექმნით, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებითა და მონდომებული მუშაობით პირველხარისხოვან მოთამაშეებად იქცევიან. მით უმეტეს, რომ, როგორც გავიგეთ, უახლოეს ხანში ქუთაისის საცურაო აუზს გათბობა ექნება, რაც იქაურ წყალბურთელებს საშუალებას მისცემს მთელი წლის მანძილზე ივარჯიშონ. უკვე ის ფაქტი, რომ ქუთაისელთა ოთხი მოთამაშე მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდში შეიყვანეს, მრავლისმეტყველია. არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ ქუთაისელთა მწვრთნელის ზ. კაკოვიჩის ნაყოფიერი საქმიანობა ახალგაზრდა ტალანტების აღმოსაჩენად.

I ადგილის ბედი ქუთაისის „განთიადისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ჩვენი აზრით, ეს მატჩი ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო. ვფიქრობდით, რომ ბურევესტნიკელებს გაუჭირდებოდათ მეტოქეთა დამარცხება, მით უმეტეს, რომ მათს რიგებში აღარ თამაშობს სპორტის ოსტატი ზ. ქართველიშვილი.

მატჩის მსაჯობა დაევალა ზ. ჩაჩავას. მაგრამ მან უარი თქვა, ვინაიდან წლების მანძილზე „ბურევესტნიკს" წვრთნიდა და ახლა უხერხულად მიაჩნდა თავისი ყოფილი აღსაზრდელების თამაშის შეფასება. ამიტომ, როგორც მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთში, მსაჯობა მე ვიკისრე. თამაშის წინ გუნდებს გამოვუძახე და ვესაუბრე, გავამახვილე ყურადღება წესების საკვანძო საკითხებზე და სამსაჯოდ გავედი. გამოვიძახე ქუთაისის „განთიადი". გუნდი გამოვიდა. გამოვიძახე თბილისის „ბურევესტნიკი" — არ ჩანს. გამოვიძახე, მეორედ, მესამედ. კვლავ არ გამოჩნდა. მივედი ბურევესტნიკელთა მწვრთნელ ი. ჩხიკვაძესთან და ავუხსენი, რომ, თუ რაიმე საწინააღმდეგო ჰქონდა, მატჩამდე უნდა ეთქვა, ახლა კი მისი მოქცევა, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხული იყო. ამის მიუხედავად, გუნდი სათამაშოდ არ გამოვიდა.

წესის თანახმად, თბილისის „ბურევესტნიკს" წაგება ჩაეთვალა. ქუთაისის „განთიადი" რესპუბლიკის ჩემპიონად გამოცხადდა. ვფიქრობ, თბილისელთა საქციელი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი გახდება.

დასასრულ მინდა გულშემატკივართა ყურადღება შევაჩერო ორ მომენტზე. პირველი: რესპუბლიკის ჩემპიონატი ნოემბერში მოეწყო და ასე იქნება გაისადაც. ეს განპირობებულია ერთი გარემოებით: გუნდებს საშუალება ეძლევათ მთელი წლის მანძილზე სპორტულ ფორმაში იყვნენ და ჩემპიონატში შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინონ. მეორე: თბილისის „ბურევესტნიკი" ბოლო ოთხი-ხუთი წელია ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობს. ამაში ცუდი თითქოს არაფერია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მოთამაშეები ძირითადად „დინამოდან" წასული წყალბურთელები არიან, სურათი ნათელი გახდება. იმის ნაცვლად, რომ „ბურევესტნიკმა" „დინამოს" და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს ღირსეული შევსება მისცეს, პირიქით ხდება, რაც, ჩვენი აზრით, შეუწყნარებელია. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს თუ გვინდა, რომ ქართულ წყალბურთს დაკარგული დიდება დავუბრუნოთ.

ტურნე სასარგებლო იყო

ნიუ იორკი, 1 დეკემბერი (საქდესის კორ. ვ. ბაიდაშინი). სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დაამთავრა ერთთვიანი ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის უძლიერეს სამოყვარულო გუნდებთან გამართული მატჩების საერთო ანგარიშია 9:5 საბჭოთა კალათბურთელთა სასარგებლოდ. საბჭოთა ნაკრებმა ორი წაგებით დაიწყო და ტურნეს ბოლოს ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო.

ამერიკის სპორტული პრესა დიდ ადგილს უთმობდა სტუმრების გამოსვლებს. აშშ-ს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტს ილიუსტრეიტედმა" დაბეჭდა დიდი წერილი სსრ კავშირის ნაკრების შესახებ. იგი აღნიშნავდა: „საბჭოთა კალათბურთელებმა რთული ამოცანა დაისახეს: ეთამაშათ 14 მატჩი სტუდენტთა უმაღლესი კლასის სამოყვარულო გუნდებთან. თვით ყველაზე უკეთესი სამოყვარულო გუნდი, აშშ-ს ჩემპიონი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ნაკრებიც კი ძნელად თუ მოიგებდა მატჩების ნახევარსაც კი ასეთ დამქანცველ ტურნეში".

„სპორტს ილიუსტრეიტედი" წერდა, რომ საბჭოთა კალათბურთმა დიდ პროგრესს მიაღწია ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში დებიუტის შემდეგ. ჟურნალს მოჰყავს ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესი მოყვარული კალათბურთელის ტომ ლა'გარდეს სიტყვები (ლა'გარდე თამაშობს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდში, რომელსაც აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი დ. სმითი წვრთნის): „საბჭოთა ნაკრები სულ იოლად მოიგებდა ჩვენს (სტუდენტური გუნდების. — რედ.) ჩემპიონატს. იგი საინტერესო და ჭკვიანურ კალათბურთს თამაშობს, ისე თამაშობს, რომ შეუძლია ჩვენი დამარცხება."

„თუ შეერთებული შტატები, — დაასკვნის ჟურნალი, — განსაკუთრებით სერიოზულად არ მოეკიდა ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტებას, საბჭოთა კალათბურთელები კვლავ მოიგებენ ოლიმპიადის ოქროს ჯილდოს".

გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი" აღნიშნავს საბჭოთა ნაკრების სათადარიგო მოთამაშეთა სიმრავლეს. მისი აზრით, აშშ-ს ერთ-ერთმა საუკეთესო სამოყვარულო გუნდმა, ნოტრ დამის უნივერსიტეტის ნაკრებმა მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ გაცილებით ნაკლები ჰყავდა ძლიერი სათადარიგო მოთამაშენი.

ინდიანის უნივერსიტეტის ნაკრები გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ფ. მაკლაფლინმა გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის" თანამშრომელს უთხრა: „ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ის, თუ რა კარგად თამაშობენ საბჭოთა სპორტსმენები კალათბურთს, ამ ტიპიურ ამერიკულ თამაშს".

საქდესის კორესპონდენტმა აშშ-ს და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების მწვრთნელებს დ. სმითსა და ვ. კონდრაშინს სთხოვა გაეზიარებინათ ამ შეხვედრებში მიღებული შთაბეჭდილებები და რამდენიმე სიტყვა ეთქვათ მომავალი ოლიმპიადის პერსპექტივებზე.

— საბჭოთა ნაკრებმა, — თქვა სმითმა, — უკვე გვიჩვენა თავისი ძალა წინა ოლიმპიადაში, მსოფლიო ჩემპიონატში და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში. იგი შესანიშნავი გუნდია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ნაკრების თამაშში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთა გამოყენებასაც ჩვენ შევეცდებით. ოლიმპიადისთვის ჩვენ გუნდი ჯერ არ ჩამოგვიყალიბებია. ამ დღეებში დაიწყო სამოყვარულო გუნდების ჩემპიონატი, რომლის შედეგების მიხედვითაც შევარჩევთ საუკეთესო მოთამაშეებს, რასაკვირველია, ვეცდებით უძლიერესთა სახელი დავიბრუნოთ.

— ჩვენ კმაყოფილი ვართ ამერიკის კალათბურთის მოედნებზე თამაშით, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კონდრაშინმა. — თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, საბჭოთა გუნდის ცალკეული მატჩების ხარისხი უკეთესი უნდა ყოფილიყო. შეხვედრები გვქონდა სხვადასხვა გუნდთან, რომლებსაც აერთიანებდათ ერთი ნიშანი: მაღალი ინდივიდუალური ტექნიკა. საბჭოთა ნაკრებისთვის ეს სასარგებლო შეხვედრები იყო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კალათბურთი მაღალ დონეზე დგას.

თავი გამოიჩინა ა. ჟარმუხამედოვმა, რომელიც ნაკრების ყველაზე სტაბილური მოთამაშე იყო. კარგად ითამაშეს ს. ბელოვმა, ი. ედეშკომ, მ. ქორქიამ, ვ. მილოსერდოვმა. ახალგაზრდებიდან საიმედო კალათბურთელებად გაგვაცნეს თავი მ. სილანტიევმა და ვ. არზამასკოვმა.

თავისი შესაძლებლობანი მთლიანად ვერ გამოავლინა ა. ბელოვმა. იმედები ვერ გაამართლა ა. გონჩაროვმა. ვ. ჟიგილიიმ უფრო სუსტად ითამაშა, ვიდრე ქვეყნის ჩემპიონატსა და საკონტინენტთაშორისო თასისთვის შეჯიბრებაში. იგივე შეიძლება ითქვას ვ. ტკაჩენკოს შესახებ. როგორც ჩანს, თამაში უნდა გარდაქმნას ა. სალნიკოვმაც, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ისე ბრწყინვალედ ვერ თამაშობდა, როგორც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტში

მოსკოვში ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა საერთაშორისო ფედერაციების გენერალური ასამბლეის (აგფი) პრეზიდენტი, „სვის ტაიმინგ ლიმიტედის" პრეზიდენტი და აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ფისა) პრეზიდენტი ტომას კელერი.

1 დეკემბერს კელერი მიიღო ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნოვიკოვმა. მათი საუბარი 1980 წელს მოსკოვში ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საკითხებს ეხებოდა.

მოსკოვში ყოფნისას ტ. კელერი გაეცნობა მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების მსვლელობას, დაათვალიერებს სპორტულ ნაგებობებს, შეხვდება საბჭოთა სპორტულ ხელმძღვანელებს. (საქდესი).

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

„ყოველ სოფელს — სპორტული ბაზა!"

ამ სათაურით „ლელოს" 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილების მიმოხილვაში გეგეჭკორის რაიონის სოფელ გურძემის ახალგაზრდები სპორტული ბაზების უქონლობას ჩიოდნენ, ამავე რაიონის სოფელ სალხინოს ახალგაზრდები კი აღნიშნავდნენ, კარგი კომპლექსური ბაზა გვაქვს, მაგრამ არავითარი მუშაობა არ ტარდებაო.

როგორც გეგეჭკორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მ. პატარაია გვატყობინებს, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა გურძემისა და სალხინოს კოლმეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩაშლისთვის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ზ. სხულუხია თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო გურძემის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა სოფელში უახლოეს ხანში მოაწყოს მარტივი ტიპის კომპლექსური მოედნები.

წითელი „ფერარი" № 12

ნიკი ლაუდა. 26 წლის ავსტრიელი პროფესიონალი ავტომრბოლელი. მსოფლიოს ჩემპიონი I ფორმულის მანქანების კლასში. 19,5 ქულით გაუსწრო მეორე პრიზიორს, აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ბრაზილიელ ემერსონ ფიტიპალდის.

თვე-ნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი I ფორმულის მანქანებით პროფესიონალ ავტომობილისტთა შორის. სპორტსმენებმა გააჩერეს თავიანთი რკინის ბედაურები, რომლებიც მართლაც ძალიან დაიქანცნენ — ჩვენი პლანეტის პირველობა ამ სახეობაში ხომ ნამდვილი მარათონია!

ცოტა ხნით დაცხრება სპორტული ცხოვრება მსოფლიოს საუკეთესო ტრასებზე და ავტოდრომებზე, რათა გაისად კვლავ ახალი ძალით აჩქეფდეს და ბევრი სასიამოვნო, სასიხარულო წუთი განაცდევინოს მაყურებელს. მაგრამ ვაი, რომ მარტო სასიხარულო წუთები არა. თუმცა, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ჯერ კი მოგახსენებთ, რომ 1975 წლის სეზონი საავტომობილო სპორტის სამყაროში ნამდვილი სენსაციით აღინიშნა: ლეგენდარული ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი ჩემპიონი აღარ არის.

ეს სიტყვები სეზონის დაწყებამდე რომ გეთქვა საავტომობილო სპორტში ოდნავ გარკვეული ადამიანისთვის, ალბათ გიჟად ჩაგთვლიდა. რამდენიმე წლის მანძილზე ფიტიპალდის ღირსეული მეტოქეც კი არ ჰყავდა, თორემ მის დამარცხებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

და აი, 1975 წლის ჩემპიონად გამოაცხადეს ყველასთვის უცნობი ავსტრიელი მრბოლელი ნიკი ლაუდა. მეფის გვირგვინი ხამდვილად ღირსეულ მემკვიდრეს დაადგეს თავზე და სპეციალისტები სეხსაციად ახლა უკვე იმას მიიჩნევენ, ლაუდას ეს გვირგვინი სხვამ, მათ შორის ფიტიპალდიმაც რომ წაართვას. მართლაც, წითელი „ფერარი", რომელსაც წინ რიცხვი 12 ეწერა, შურდულივით დაქროდა ბელგიისა და შვეციის, იტალიისა და საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ტრასებზე. მაყურებლები თვალის შევლებას ვერასწრებდნენ, ეს მანქანა ისე ჩაიქროლებდა ქარივით, და მხოლოდ იმით იიმედებდნენ თავს, რომ შემდეგ წრეზე უფრო კარგად დააკვირდებოდნენ, დაინახავდნენ მის მოძრაობას. შემდეგ წრეზე კი იგივე მეორდებოდა... 26 წლის ავსტრიელი სპორტსმენი არც მაყურებლებს და არც მეტოქეებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა და დაუნდობლად მიექანებოდა წინ, მწვერვალისკენ, მიზნისკენ. ეს მწვერვალი მან ტრიუმფით დაიპყრო და გმირად დაბრუნდა თავის მშობლიურ პატარა ზალცბურგში.

წლევანდელი გათამაშება 15 ეტაპად უნდა გამართულიყო, მაგრამ შედგა მხოლოდ 14. XV ეტაპის — „კანადის დიდი პრიზის" ჩატარება არ მოხერხდა, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, იგი მხოლოდ კიდევ ერთხელ დაამტკიცებდა ლაუდას უპირატესობას და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც არ ექნებოდა.

შეჯიბრება დაიწყო ბუენოს-აირესის ტრასაზე „არგენტინის დიდი პრიზის" გათამაშებით. სეზონის გახსნის რბოლა ბრწყინვალედ მოიგო ფიტიპალდიმ. II ადგილზე გავიდა ინგლისელი ჯეიმს ჰანტი, III — მასპინძელი კარლოს როიტმანი. პირველმა სტარტმა კიდევ უფრო დაარწმუნა ყველა, რომ შეჯიბრების უდავო ფავორიტი ფიტიპალდი უნდა ყოფილიყო. ასე გრძელდებოდა V ეტაპამდე. აი, როგორ მიდიოდა საქმე:

ინტერლაგოსის ტრასა, II ეტაპი — „ბრაზილიის დიდი პრიზი". თურმე მართალს ამბობს ხალხი — შინ კედლებიც ეხმარება კაცსო. ეს სიტყვები დაამტკიცეს მასპინძლებმა კარლოს პეისმა და ემერსონ ფიტიპალდიმ. პეისის „ბრებჰემმა" თავისი თანამემამულის „მაკლარენსაც" გაუსწრო და I ადგილი დაიკავა. ფიტიპალდი II ადგილზე გავიდა და ლიდერის პოზიცია გაიმტკიცა. აქ უკანასკნელის თანაგუნდელი, დასავლეთგერმანელი იოხენ მასი ფინიშთან მესამე იყო.

III ეტაპზე ფიტიპალდიმ ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო*, მშობლიური კედლების მნიშვნელობა კი ისევ დაამტკიცა სამხრეთაფრიკელმა ჯოდი შექტერმა: მან მოიგო ამ ქვეყნის „დიდი პრიზი", რომელიც კიალამის ტრასაზე გათამაშდა. მომდევნო ორ ადგილზე გავიდნენ როიტმანი და ფრანგი პატრიკ დეპაიე („ტირელი").

ფიტიპალდიმ ვერც ბარსელონაში ჩატარებულ „ესპანეთის დიდი პრიზის" გათამაშებაში მიიღო ქულა, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა.

ახლა გაგაცნობთ ლაუდას შედეგებს პირველი ოთხი ეტაპის შემდეგ: I ეტაპი — VI ადგილი (1 ქულა), II — V (2), III — V (2), IV ეტაპზე ლაუდა ექვსეულში ვერ მოხვდა. ასე რომ, შეჯიბრების დასაწყისში ავსტრიელი მრბოლელი ჩრდილში იდგა და მისთვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მისი „ჩრდილიდან გამოსვლა" კი მართლაც ბრწყინვალე იყო.

მონტე-კარლოს სახელგანთქმულ ტრასაზე „მონაკოს დიდი პრიზის" მოგება ყოველი მრბოლელის ოცნებაა. ისინი თავდაუზოგავად იბრძვიან პირველობისთვის და ეს ბრძოლა ზოგჯერ სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა უცნობმა წითელმა „ფერარიმ", რამაც მაყურებელთა გაოცება გამოიწვია. დაწინაურებულს კვალში მიჰყვა ფიტიპალდის „მაკლარენი", მესამე კი მისი თანამემამულის პეისის „ბრებჰემი" მოვიდა. ახალგაზრდა სპორტსმენის გამარჯვება სერიოზულად არავის მიუღია — ეს მხოლოდ და მხოლოდ პატარა სიურპრიზი ეგონათ, მაგრამ...

ზოლდერის ტრასა. VI ეტაპი — „ბელგიის დიდი პრიზი". ფინიშის ხაზი. ყველაზე წინ ტყვიასავით მიქრის წითელი „ფერარი", ისევ ის „ფერარი", რომელსაც ციფრი 12 აწერია. ეს აღარ არის შემთხვევითობა, ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობიან ახალ ლიდერს, ერთმანეთს ასწრებენ ინტერვიუს აღებას, ავტოგრაფების მთხოვნელთა რიცხვს საზღვარი არა აქვს, მწვრთნელები და მეხეჯერები რაღაცას გაფაციცებით ინიშნავენ თავიანთს ბლოკნოტებში, ათობით კინო- და ტელეკამერა ერთ წერტილს „მიაშტერდა". აი, ასეთი სიტუაცია შეიქმნა VI ეტაპის ფინიშის შემდეგ. ლიდერობა ხელთ იგდო ლაუდამ, რომელმაც 2 ქულით გაუსწრო ფიტიპალდის (მან ვერც ამ ეტაპზე შეძლო ექვსეულში მოხვედრა).

ანდერსტორპის ტრასაზე შვეციაში, ამ ქვეყნის „დიდი პრიზის" გათამაშების სტარტზე, უკვე არავინ აშორებდა თვალს წითელ მანქანას, რომელშიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონი იჯდა. მას ყურადღებით უყურებდნენ მეტოქეებიც, მაყურებლებიც, სპეციალისტებიც. მაგრამ ლაუდა არ შედრკა — ისევ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და უკვე საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ლეგენდარულ ფიტიპალდის ძალიან გაუჭირდებოდა ავსტრიელის დამარცხება, ზოგი კი ლეგენდარულს უკვე ლაუდას უწოდებდა.

VIII ეტაპზე (ზანდვოორტი, „ჰოლანდიის დიდი პრიზი") ლიდერმა ისევ შესანიშნავად იასპარეზა და პირველობა მხოლოდ ინგლისელ ჰანტს დაუთმო. ამ ეტაპის შემდეგ ლაუდას უკვე 38 ქულა ჰქონდა და 15 ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს, არგენტინელ როიტმანს, რომელმაც ფიტიპალდი ჩამოიტოვა. ბევრი დარწმუნდა იმაში, რომ I ადგილის ბედი გადაწყვეტილი იყო და ბრძოლა დაძაბული მხოლოდ მომდევნო ადგილებისთვის იქნებოდა.

და აი, ლე-კასტელეს ტრასაზე („საფრანგეთის დიდი პრიზი") გამართულ IX ეტაპზე ლაუდამ საბოლოოდ გადაუწურა იმედი ყველას, ვისაც ფიტიპალდის ან როიტმანის გამარჯვება სურდა. მან ისევ გაიმარჯვა და არნახული შედეგი აჩვენა — ხუთი ეტაპიდან (V-IX) ოთხი I და ერთი II ადგილი! ახლა სხვაობა I და II ადგილებს შორის 24 (!) ქულამდე გაიზარდა.

X ეტაპზე ფიტიპალდიმ მაინც დაამტკიცა თავისი სიძლიერე — მოიგო სილვერსთოუნის ტრასაზე გამართული „ინგლისის დიდი პრიზი" და ისევ II ადგილზე გადაინაცვლა. ამ ეტაპზე II ადგილი მის თანამემამულე პეისს ხვდა. ლაუდამ ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო.

მორიგი, XI ეტაპი გაიმართა ნიურბურგრინგის ტრასაზე, სადაც სპორტსმენებმა „გფრ-ის დიდი პრიზი" გაითამაშეს. ამ რბოლამ კიდევ უფრო დაძაბა ბრძოლა საერთო ჩათვლაში II ადგილისთვის. როიტმანმა პირველობა მოიპოვა. მან 34 ქულა მოაგროვა და ისევ ქულით გაუსწრო ფიტიპალდის. ლაუდამ III ადგილი დაიკავა და 4 ქულა შემატა თავის ყულაბას.

XII ეტაპს ავსტრიელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ: იგი ხომ მათს ქვეყანაში, ცელტვეგის ტრასაზე ტარდებოდა. შეჯიბრების სტარტზე საზეიმო განწყობილებას ხელი შეუშალა ცოტა ხნით ადრე მომხდარმა ტრაგედიამ — საწვრთნელი რბოლის დროს დაიღუპა ძლიერი ამერიკელი მრბოლელი მარკ დონოჰიუ, რომელიც 10 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში XI ადგილზე იყო. უნდა ითქვას, რომ ეს არცთუ იშვიათი შემთხვევაა პროფესიონალთა რბოლებში, სადაც სპორტსმენთა უსაფრთხოება მუდამ როდია უზრუნველყოფილი.

სტარტის დღეს ტრიბუნებზე ტევა არ იყო — ავსტრიელებს სურდათ ენახათ ახლა უკვე სახელგანთქმული თანამემამულე, რომლისგანაც ყველა გამარჯვებას მოელოდა. გულშემატკივართა დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ლაუდამ მხოლოდ ნახევარი ქულის აღება შეძლო, თუმცა მისმა უშუალო მეტოქეებმა ფიტიპალდიმ და როიტმანმა ესეც ვერ მოახერხეს.

XIII ეტაპი „იტალიის დიდი პრიზი" იყო. იგი მონცის განთქმულ ავტოდრომზე გაიმართა, რომელიც თავისი „ჩქაროსნულობითაა" ცნობილი. „დიდი პრიზი" მოიგო ლაუდას თანაგუნდელმა (ისიც „ფერარით" გამოდის), შვეიცარიელმა კლეი რეგაცონიმ, რომელმაც უდიდესი სისწრაფე განავითარა — 223,501 კმ საათში (საშუალოდ — 218,034 კმ). მომდევნო ადგილები დაიკავეს ფიტიპალდიმ, ლაუდამ, როიტმანმა, ჰანტმა და პრაისმა (ინგლისი, „შედოუ").

უკანასკნელი, XIV ეტაპის გასამართავად მონაწილენი ოკეანის გაღმა გაფრინდნენ. იქ, უოტკინს გლენის ტრასაზე, გათამაშდა „აშშ-ს დიდი პრიზი". ეს იყო ლაუდას ტრიუმფის სეზონის ჭეშმარიტად ტრიუმფული ფინიში. მან ეს შეჯიბრებაც მოიგო და მეხუთე „გრან პრი" მოიპოვა წლეულს. ბოლო ეტაპზე სტარტი 22 მონაწილემ აიღო და რბოლას თითქმის ნახევარი გამოეთიშა — ფინიშთან მხოლოდ 12 მოვიდა. საწვრთნელი ცდა** ყველაზე სწრაფად ლაუდამ და ფიტიპალდიმ ჩაატარეს და სტარტზე მათი მანქანები ერთმანეთის გვერდით, პირველ რიგში მოექცნენ. 320,547-კილომეტრიანი ტრასა (59 წრე, თითოეული — 5,433 კმ), როგორც ვთქვით, ყველაზე სწრაფად მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ განვლო. II ადგილზე ემერსონ ფიტიპალდი გავიდა და საერთო ჩათვლაშიც მოიპოვა ეს ადგილი.

საერთო ჩათვლაში ჩასათვლელი ქულები სულ 21 მრბოლელმა მიიღო. ჯერ პირველ ათეულს გაგაცნობთ: 1. ლაუდა (ავსტრია, „ფერარი") — 64,5 ქულა; 2. ე. ფიტიპალდი (ბრაზილია, „მაკლარენი") — 45; 3. როიტმანი (არგენტინა, „ბრებჰემი") — 37; 4. ჰანტი (ინგლისი, „ჰესკეთი") — 33; 5. რეგაცონი (შვეიცარია, „ფერარი") — 25; 6. პეისი (ბრაზილია, „ბრებჰემი") — 24; 7-8. შექტერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, „ტირელი") და მასი (გფრ, „მაკლარენი") — 20-20; 9. დეპაიე (საფრანგეთი, „ტირელი") — 12; 10. პრაისი (ინგლისი, „შედოუ") — 8.

IV ადგილი 28 წლის ბრიტანელი სპორტსმენის ჰანტის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს: იგი ხომ სულ მეორე სეზონია, რაც I ფორმულის მანქანით ასპარეზობს.

ამ სიაში ბოლო, XXI ადგილი უკავია იტალიელ ლომბარდის, რომელსაც სულ ნახევარი ქულა აქვს დაგროვილი. მაგრამ ეს სპორტსმენი მუდამ ყურადღების ცენტრში ჰყავთ როგორც მაყურებლებს, ისე ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს. რითია გამოწვეული ასეთი ინტერესი ბოლო ადგილზე გასული მრბოლელისადმი? ახლავე მოგახსენებთ: ლელა ლომბარდი ქალია! ერთადერთი ქალი, რომელიც ასე თამამად მონაწილეობს ვაჟთა შეჯიბრებაში და ბევრ სახელგანთქმულ სპორტსმენ ვაჟს აჯობა კიდეც, რომელთა შორის ე. ფიტიპალდის ძმა უილსონ ფიტიპალდიც არის. არა გვგონია, კაცებს თავიანთი მეტოქისთვის მისი სილამაზის გამო დაეთმოთ რაიმე. უბრალოდ, „ტურინელი ვეფხვი" (როგორც მას ეძახიან) არაფერში უდებს ტოლს ძლიერთა სქესის წარმომადგენლებს.

დაბოლოს ვიტყვით, რომ პროფესიონალ მრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატი მარტო სპორტსმენთა შეჯიბრება როდია. ამა თუ იმ მრბოლელის წარმატებაში ან წარუმატებლობაში დიდი წვლილი შეაქვს თვით „ცხენ-რაღს" — ავტომობილებს, რომელთა ფირმების მფლობელებსაც ბრძოლა აქვთ გაჩაღებული ერთმანეთში. წლევანდელი ჩემპიონატი მარანელელი ენცო ფერარის სრული გამარჯვებით დასრულდა. მისმა მანქანებმა პირწმინდად მოუგეს თავიანთს ძველ მეტოქეებს — „ფორდებს" და დიდი ხნის „შესვენების" შემდეგ კვლავ სათავეში ჩაუდგნენ საუკეთესო სარბოლო მანქანების სიას. „ფერარით" მსოფლიო ჩემპიონობა უკანასკნელად 14 წლის წინათ მოიპოვა ამერიკელმა ფილ ჰილმა, ახლა კი ნიკი ლაუდამ ისევ მოუტანა დიდება ამ ფირმას.

წლევანდელი სეზონის საუკეთესო მანქანების პირველი ექვსეული ასეთია: 1. „ფერარი" — 72,5 ქულა, 2. „ბრებჰემი" — 54, 3. „მაკლარენი" — 53, 4. „ჰესკეთი" — 33, 5. „ტირელი" — 25, 6. „შედოუ" — 9,5.

„ლელოს" მიმომხილველი.



ს უ რ ა თ ზ ე: უოტკინს გლენის სახელგანთქმულ ტრასაზე გამართული „ამერიკის შეერთებული შტატების დიდ პრიზზე" რბოლის მომენტი. წინა პლანზეა ნ. ლაუდა (№ 12).

---

* **მსოფლიო ჩემპიონატის ყოველ ეტაპზე ქულები ასე ნაწილდება: „დიდი პრიზის" მოგებისთვის სპორტსმენს ერიცხება 9 ქულა, II ადგილისთვის — 6, III — 4, IV—3, V—2 და VI— 1 ქულა.**

** **რბოლის დაწყებამდე ყოველმა მონაწილემ ერთი საწვრთნელი წრე უნდა გაიაროს და აქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით სპორტსმენებს სტარტზე ანაწილებენ. საუკეთესოებს პირველ რიგში აყენებენ და ა. შ.**

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 5 დეკემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). **საქართველოს ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირი. 4-23 დეკემბერი.** 4 დეკემბერს შედგება I ტური, 5-ში — II, 6-ში — III, 7-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 8-ში — IV ტური, 9-ში — V, 10-ში გადადებული პარტიების დამთავრება, 12-ში — VI ტური, 13-ში — VII, 14-ში — VIII, 15-ში გადადებული პარტიების დამთავრება, 16-ში — IX ტური, 17-ში — X, 18-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 19-ში — XI ტური, 20-ში — XII, 21-ში გადადებული პარტიების დამთავრება, 22-ში — XIII ტური, 23-ში — გადადებული პარტიების დამთავრება (10 საათიდან) და შეჯიბრების დახურვა (17 ს.). ტურებისა და გადადებული პარტიების დამთავრების დასაწყისი 16 ს. და 30 წთ.

ИНДЕКС 68448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12209